# სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"

*საქმიანობის ანგარიში, 2011 წელი*

# საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

- საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობა
- გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა
- ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტი
- აღრიცხვის კონტროლი

# საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობა

- საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობა ესკოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად რჩება.
- 2011 წელს საბალანსო ელექტროენერგიის წილმა საბითუმო ვაჭრობაში შეადგინა – 21.2%



# საბალანსო ელექტროენერგიის მომწოდებლები

2011 წელს ესკო-ს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგია შედგება თბოელექტროსადგურების, ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული და ესკო-ს მიერ იმპორტირებული ელექტროენერგიისაგან, რომელთა წილობრივი მონაწილეობა, თვეების მიხედვით, მოცემულია გრაფიკზე.

ესკო-ს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგია, 2011 წელი




| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იმპორტიორი (ესკო) | 77 | 79 | 16 | 8 | 2 | 0 | 7 | 2 | 16 | 6 | 97 | 139 |
| თბოელექტროსადგური | 183 | 205 | 190 | 122 | 0 | 0 | 2 | 3 | 234 | 137 | 4 | 148 |
| ჰიდროელექტროსადგური | 23 | 17 | 52 | 42 | 52 | 31 | 50 | 111 | 31 | 31 | 20 | 21 |

# ელექტროენერგიის მომწოდებლების მონაწილეობა საბალანსო ელექტროენერგიის ფორმირებაში

| ელექტროენერგიის გამყიდველები | 2011 წელი | |
|---|---|---|
| | კვტ.სთ | წილი, % |
| ჰიდროელექტროსადგური | 481 939 884 | 22% |
| თბოელექტროსადგური | 1 228 001 252 | 57% |
| იმპორტიორი (ესკო) | 449 167 616 | 21% |
| ჯამი | 2 159 108 752 | 100% |



# საბალანსო ელექტროენერგიის მყიდველები

2011 წელს საბალანსო ელექტროენერგიის მყიდველები ძირითადად იყვნენ გამანაწილებელი ენერგოკომპანიები, პირდაპირი მომხმარებლები და ექსპორტიორები. საბალანსო ელექტროენერგიის მყიდველების წილობრივი მონაწილეობა, თვეების მიხედვით, მოცემულია გრაფიკზე.

ესკო-ს მიერ გაყიდული საბალანსო ელექტროენერგია, 2011 წელი




| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექსპორტიორი | - | | 4 | - | 1 | 2 | 2 | 9 | 9 | 9 | 5 | 1 |
| აფხაზეთში მიწოდება | - | 5 | 22 | - | - | - | - | - | - | - | - | 8 |
| პირდაპირი მომხმარებელი | 105 | 49 | 47 | 47 | 23 | 30 | 58 | 83 | 83 | 41 | 48 | 46 |
| განაწილების ლიცენზიატი | 178 | 247 | 185 | 125 | 30 | - | - | 24 | 189 | 123 | 68 | 253 |

# კვალიფიციური საწარმოების მონაწილეობა საბალანსო ელექტროენერგიის შესყიდვაში

| ელექტროენერგიის მყიდველები | 2011 წელი | |
|---|---|---|
| | კვტ.სთ | წილი, % |
| განაწილების ლიცენზიატი | 1 422 879 478 | 66% |
| პირდაპირი მომხმარებელი | 659 134 193 | 31% |
| აფხაზეთში მიწოდება | 34 821 580 | 2% |
| ექსპორტიორი | 42 273 501 | 2% |
| ჯამი | **2 159 108 752** | **100%** |



# გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირება

გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირება ხდება ესკოს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგიის ***საშუალო შეწონილი ფასით***



# მცირე სიმძლავრის დერეგულირებული ელექტროსადგურების საბალანსო ელექტროენერგიის ფასი

მცირე სიმძლავრის დერეგულირებული ელექტროსადგურებისაგან ესკო საბალანსო ელექტროენერგიას შეისყიდის:

- *სექტემბრიდან-მაისამდე პერიოდში – იმავე საანგარიშო პერიოდში ესკოზე გაყიდული საბალანსო ელექტროენერგიის ყველაზე მაღალი ტარიფით;*
- *მაისიდან-სექტემბრამდე პერიოდში –წარმოების ყველაზე დაბალი ტარიფის მქონე მარეგულირებელი ელექტროსადგურის ტარიფით (1.17 თეთრი/კვტ.სთ);*

მცირე სიმძლავრის დერეგულირებული ელექტროსადგურებიდან ესკო-ს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგიის ფასი, 2011 წელი



# საბალანსო ელექტროენერგიის ღირებულების გადახდის მაჩვენებელი

- 2011 წელს ესკო-ს მიერ საბალანსო ელექტროენერგიის მომწოდებლებზე გადახდილ იქნა 168 747 800 ლარი, რაც მთლიანი დარიცხვის (პერიოდის დასაწყისში არსებული ნაშთის გათვალისწინებით) 96.7%-ია.
- 2011 წელს ესკო-დან შესყიდულ საბალანსო ელექტროენერგიაზე კვალიფიციური საწარმოების მიერ გადახდილ იქნა 176 772 362 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), რაც დარიცხული თანხის (პერიოდის დასაწყისში არსებული ნაშთის გათვალისწინებით) 96.9%-ია.

# გარანტირებული სიმძლავრე

- ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობას, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირებას ემსახურება გარანტირებული სიმძლავრე.
- გარანტირებული სიმძლავრის წყაროს და თითოეული გარანტირებული სიმძლავრის წყაროსთვის გარანტირებული სიმძლავრის მინიმალურ ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.
- თითოეული გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის გარანტირებული სიმძლავრის საფასურს ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია დღიურ ბაზისზე.
- გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა ხდება მხოლოდ ესკოს მეშვეობით პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით.

# საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის წყაროები, მათთვის დადგენილი გარანტირებული სიმძლავრის მინიმალურ ოდენობა და უზრუნველყოფის პერიოდები

**საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის წყაროები და მათთვის დადგენილი გარანტირებული სიმძლავრის მინიმალური ოდენობაა**

- აირტურბინული ელექტროსადგური — **65 მვტ**
- გარდაბნის თბოელექტროსადგურის №3 ენერგობლოკი — **100 მვტ**
- გარდაბნის თბოელექტროსადგურის №4 ენერგობლოკი — **100 მვტ**
- გარდაბნის თბოელექტროსადგურის №9 ენერგობლოკი — **180 მვტ**

*გარანტირებული სიმძლავრეების მინიმალური ოდენობა მოცემულია 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.*

# 2011 წელს გარანტირებული სიმძლავრის წყაროების მიერ გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფილი დღეების რაოდენობა და უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრის საფასური

*საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილების თანახად, თითოეული გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის გარანტირებული სიმძლავრის დღიურ ბაზისზე დადგენილი საფასური შეადგენს:*

| | | | |
|---|---|---|---|
| 74 356 ლარი/დღე | 20 016 ლარი/დღე | 21 297 ლარი/დღე | 59 811 ლარი/დღე |
| აირტურბინული ელექტროსადგური | გარდაბნის თბოელექტროსადგურის №3 ენერგობლოკი | გარდაბნის თბოელექტროსადგურის №4 ენერგობლოკი | გარდაბნის თბოელექტროსადგურის №9 ენერგობლოკი |
| *336 დღე* | *306 დღე* | *306 დღე* | *300 დღე* |

*მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილების თანახად, 2011 წლის სექტემბრიდან 2012 წლის სექტემბრამდე გარანტირებული სიმძლავრის წყაროებს გარანტირებული სიმძლავრის საფასური უნაზღაურდებათ მათ მიერ გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს:*

# 2011 წელს გარანტირებული სიმძლავრის წყაროების მიერ უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრის საფასური

| აირტურბინული ელექტროსადგური | გარდაბნის თბოელექტროსადგურის №3 ენერგობლოკი | გარდაბნის თბოელექტროსადგურის №4 ენერგობლოკი | გარდაბნის თბოელექტროსადგურის №9 ენერგობლოკი |
|---|---|---|---|
| *22.31 მლნ.ლარი* | *5.99 მლნ.ლარი* | *5.38 მლნ.ლარი* | *18.34 მლნ.ლარი* |

*2011 კალენდარული წლის განმავლობაში გარანტირებული სიმძლავრის წყაროების მიერ გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფილი დღეების რაოდენობა შეადგენდა:*

| აირტურბინული ელექტროსადგური | გარდაბნის თბოელექტროსადგურის №3 ენერგობლოკი | გარდაბნის თბოელექტროსადგურის №4 ენერგობლოკი | გარდაბნის თბოელექტროსადგურის №9 ენერგობლოკი |
|---|---|---|---|
| *300 დღე* | *345 დღე* | *303 დღე* | *306 დღე* |

*მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილების თანახად, 2011 წლის სექტემბრიდან გარდაბნის თბოელექტროსადგურის №3 ენერგობლოკს გარანტირებული სიმძლავრის საფასური დაუდგინდა 20 016.00 ლარი, ნაცვლად 15 969.00 ლარისა; №4 ენერგობლოკს – 21 297.00 ლარი, ნაცვლად 16 867.00 ლარისა, ხოლო №9 ენერგობლოკს – 59 811.00 ლარი, ნაცვლად 60 038.00 ლარისა.*

## გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველები

- გამანაწილებელი ენერგოკომპანია
- პირდაპირი მომხმარებელი
- ექსპორტიორი

გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმო ვალდებულია აანაზღაუროს გარანტირებული სიმძლავრის საფასური გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების ფაქტობრივ ჯამურ მოხმარებასა და ექსპორტში მისი ფაქტობრივი მოხმარების ან ექსპორტის წილის პროპორციულად

# გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების წილი გარანტირებული სიმძლავრის მთლიან შესყიდვაში, 2011 წ.



# 2011 წელს კვალიფიციური საწარმოების მიერ 1 კვტ.სთ-ზე გადახდილი გარანტირებული სიმძლავრის საფასური



# ესკოს მიერ განხორციელებული იმპორტი და ექსპორტი

- ესკომ 2011 წელს ელექტროენერგიის იმპორტი განახორციელა რუსეთის ფედერაციიდან და აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან. ესკოს მიერ განხორციელებულ იმპორტში მნიშვნელოვანი წილი რუსეთის ფედერაციასთან დამაკავშირებელ ელექტროგადამცემ ხაზებზე მოდის.
- 2011 წელს ესკოს მიერ ელექტროენერგიის ექსპორტირება მოხდა ორ მეზობელ ქვეყანაში: რუსეთის ფედერაციაში და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. იმპორტის მსგავსად, ესკოს ექსპორტის ძირითადი წილი რუსეთის ფედერაციაზე მოდის.

*მლნ. კვტ.სთ*




*მლნ. კვტ.სთ*



# ესკოს წილი იმპორტ-ექსპორტის მთლიან მოცულობაში

- 2011 წელს სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა შეადგენს 449.2 მლნ. კვტ.სთ-ს, რაც მთლიანად ქვეყანაში განხორციელებული იმპორტის (470.98 მლნ. კვტ.სთ) 95.4 %-ია.

- 2011 წელს ესკოს მიერ ექსპორტირებულია 282.56 მლნ. კვტ.სთ ელექტროენერგია, რაც ქვეყნიდან ფაქტიურად განხორციელებული ექსპორტის (930.63 მლნ. კვტ.სთ) 30.4 %-ს შეადგენს.

*მლნ. კვტ.სთ*




*მლნ. კვტ.სთ*



# ესკოს ფინანსური საქმიანობის მაჩვენებლები

- 2011 წელს ბრუნვის მაჩვენებელმა 242 088 631 ლარი შეადგინა.
- 2011 წელს ესკოს წმინდა მოგება 1 003 674 ლარია.
- 2011 წელს ესკოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში სულ გადახდილია 14 820 900 ლარი, მათ შორის:
  - დღგ - 11 023 805 ლარი;
  - მოგების გადასახადი – 1 242 053 ლარი;
  - სხვა გადასახადები – 418 217 ლარი;
  - დივიდენდის სახით – 2 136 825 ლარი.



# აღრიცხვის სისტემების მონიტორინგი

- ელექტროენერგიის საანგარიშსწორებო აღრიცხვის წერტილების მონიტორინგის მიზნით, აღრიცხვის კონტროლის დეპარტამენტის აუდიტორების მიერ (დაინტერესებულ მხარეებთან ერთად) 2011 წელს განხორციელდა 1715 საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძის ინსპექტირება. ყველა მათგანზე შედგა სათანადო აქტი.

- საქართველოს მასშტაბით, განხორციელდა 24 მივლინება. აქედან, 11 მივლინება განხორციელდა კვალიფიციური საწარმოების მოთხოვნით, ხოლო 13 მივლინება კი – სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მიერ დამტკიცებული ელექტროენერგიის საბითუმო აღრიცხვის წერტილების ინსპექტირების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან“ ერთად განხორციელდა 500კვ ქ/ს „გარდაბანში“ - 220კვ სალტის შემოვლითი ამომრთველის და 220 კვ.ეხ „ალავერდის“ აღრიცხვის კვანძების შემოწმება.

- ინსპექტირების დროს გამოვლენილ ყველა ხარვეზზე, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მიერ განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

# ესკოს სტრუქტურა 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- ესკოში 2011 წელს დასაქმებული იყო 63 თანამშრომელი;
- ესკოს სტრუქტურა მოიცავს მენეჯმენტს – გენერალური დირექტორისა და 2 მოადგილის შემადგენლობით და 11 სტრუქტურულ ქვედანაყოფს – დეპარტამენტს;
- 3 დეპარტამენტი იმყოფება გენერალური დირექტორის უშუალო დაქვემდებარებაში;
- 4-4 დეპარტამენტი იმყოფება გენერალური დირექტორის მოადგილეების დაქვემდებარებაში.

# ესკოს სტრუქტურა



ესკო ESCO

**WWW.ESCO.GE**